# თავისუფალი საქართველო

№14

23 - 29 აპრილი

1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩეჩნეთში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა

ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ცხადყვეს, რომ რუსეთის ხელისუფლებას არასოდეს უფიქრია ჩეჩნეთის საკითხის მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე და არც არასოდეს იტყვის უარს თავის იმპერიალისტურ მისწრაფებებზე ამ რეგიონში.

ილუზია, თითქოს რუსეთი სამშვიდობო პროცესის დაწყების გზებს ეძებს, ვარიანტთა სიმრავლეში ცდილობს აირჩიოს საუკეთესო და მთელი ძალისხმევა აქეთკენა აქვს მიმართული, საბოლოოდ გაქრა.

ახლა ირკვევა, რომ არანაირი სამშვიდობო გეგმა არ არსებულა. მეტიც, რუსეთის თავდაცვის მინისტრი აცხადებს, რომ ბორის ელცინის 31 მარტის “საეტაპო“ და ფართოდ რეკლამირებული გამოსვლის შემდეგ რუსეთის ტელევიზიით, - ჩეჩნეთში დისლოცირებულ ფედერალურ ჯარებს არც უფიქრიათ საომარი მოქმედებების შეწყვეტა. 6 აპრილამდე მათ ამგვარი ბრძანება საერთოდ არ მიუღიათ, ხოლო შემდგომ დაიწყეს ე.წ. “სპეციალური სამხედრო ოპერაციების“ წარმოება, რომელთა დროს გამოჩენილმა სისასტიკემ და დაუნდობლობამ დაჩრდილა რუსის ჯარის მიერ ადრე მოხვეჭილი პირუტყვული დიდება.

სწორედ ამ პერიოდში განსაკუთრებული გააფთრებით იბომბებოდა უამრავი ჩეჩნური დასახლებული პუნქტი... მიზანი ერთადერთი იყო: ნებისმიერი საშუალებით გაეტეხათ ჩეჩენთა წინააღმდეგობა, შესულიყვნენ სოფელში, განეხორციელებინათ ე.წ. “წმენდა“, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის ტანჯვას, წამებას, ნამუსის ახდას და ხოცვა-ჟლეტას ითვალისწინებს, ამ “ღონისძიებათა“ გატარების შემდეგ კი, “სოფლის წარმომადგენლებთან“ თანხმობის მიღწევის შედეგად, იდებოდა “სამშვიდობო შეთანხმებები“. რუსეთის ხელისუფალნი ვარაუდობდნენ, რომ მათ მიერ დამყარებულ “მშვიდობიან და უდარდელ“ ცხოვრებას დიდხანს ვერ მოითმენდნენ ჩეჩენი “მილიტარისტ-სეპარატისტები“ და მითიც - ჩეჩნეთა მხრიდან სამშვიდობო ხელშეკრულებათა დარღვევის შესახებ; მზად იქნებოდა. ამ მითის მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის გაცნობის შემდეგ კი, რუსეთის ჯარებს ხელ-ფეხი გაეხსნებოდათ საბრძოლო მოქმედებების უფრო ფართოდ გასაშლელად.

მაგრამ რუსულ პოლიტიკურ მზაკვრობებს ის ერთი აუცილებელი ნაკლი მაინც ახლავს, რომ თითქმის ვერასოდეს ითვალისწინებს მოწინააღმდეგის ძალასა და განწყობას. ამიტომაც, ყოველი ამგვარი გეგმა, როგორც წესი, მის საწინააღმდეგოდ შემობრუნდება ხოლმე: გასულ კვირას ჩეჩენი მებრძოლები თავს დაესხნენ გროზნოდან შატოისკენ მიმავალ რუსულ სამხედრო კოლონას, რომელსაც “ისკლუჩიტელნო მირნი“ ტვირთი, ანუ ათეულობით საბრძოლო მანქანა, ტყვია-წამალი, სანოვაგე მიჰქონდა პოლკისთვის, რომელიც ამჟამად აწარმოებს საბრძოლო მოქმედებებს შატოის მიმართულებით. რუსეთის სამხედრო კოლონა მთლიანად განადგურდა. სხვადასხვა მონაცემებით, ასამდე რუსი დაიღუპა, ერთი ამდენი მძიმედაა დაჭრილი.

სამაგიეროდ, რუსეთის ხელისუფლებამ “მიზანს მიაღწია“ - ახლა იგი დაბეჯითებით აცხადებს, რომ სამშვიდობო პროცესი ჩეჩნებმა ჩაშალეს. რუსთა ხმას მაშინვე მხარი აუბა ადგილობრივი მნიშვნელობის პოლიტიკოსმა - დოკუძ: “დუდაევს არ სურს რუსების გასვლა ჩეჩნეთიდან და ამიტომ ესხმის თავს მათო.“ ზავგაევი და რუსი სამხედროები მოითხოვენ, კიდევ უფრო გამკაცრდეს ზომები თავისუფლებისთვის მებრძოლთა მიმართ, ხოლო ჯარები მუდმივად ჩეჩნეთში იქნენ დისლოცირებული.

უახლოეს დღეებში საბრძოლო მოქმედებები დაიწყება ჩეჩენთა ერთ-ერთი საიმედოდ გამაგრებული ქალაქის - შალის მისადგომებთან. რუსები აგრძელებენ შეტევას ჩეჩნეთის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით და ცდილობენ კავკასიონის ქედთან მოიმწყვდიონ ჩეჩენი მებრძოლები. ფაქტობრივად შეიქმნა ისეთივე სიტუაცია, როგორიც შარშან გაზაფხულზე იყო. ჩეჩნები ნელ-ნელა უკან იხევენ საქართველოს საზღვრისკენ. შემთხვევითი არ არის, რომ სულ ცოტა ხნის წინ რუსეთის სასაზღვრო ბატალიონი ბარისახოს მიმართულებით გადაადგილდა და იქ ბლოკ-პოსტის მშენებლობა წამოიწყო.

ქართველ ხელისუფალთა განცხადებები იმის შესახებ, თითქოს ურუსეთოდ აფხაზეთის პრობლემა ვერ გადაწყდება, გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ საქართველო ყოველმხრივ დახმარებას გაუწევს რუსეთს ჩეჩენთა რაზმების ალყაში მოქცევასა და განადგურებაში. სამაგიეროდ, ჩვენი “შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსები“ რუსეთისგან აფხაზეთის დაბრუნებას დაელოდებიან... და კიდევ ჩინ-ტემლაკებს, როგორც მეცხრამეტე საუკუნის რენეგატი ქართველები

*ნუგზარ წიკლაური*

## სვლა ნულოვანი ვარიანტისკენ

### რაზე ისაუბრეს შევარდნაძემ და არძინბამ?

მთელი კვირის მანძილზე პარლამენტი ამხელდა აფხაზეთის ომის დამნაშავეებს, რომლებიც ბაბილაშვილ-ბალუშვილის მიერ წარმოებულმა ძიებამ ძირითადად ქართველთა და აფხაზთა წიაღში მოიძია. “სიძულვილის კვირეული“ დამთავრდა შევარდნაძის ორი თითქმის სენსაციური განცხადებით.

მან საჯაროდ განაცხადა, რომ არ იხსნის პასუხისმგებლობას ყველაფრისთვის, რაც აფხაზეთში მოხდა და რაც ამ რეგიონში იქნება - რითაც, ერთი მხრივ, შესაძლოა, ახალი სამუშაო გაუჩინა პროკურატურას (ვინ იცის, იქნებ ამის დროც დაუდგათ), მეორე მხრივ კი ახალი იმედები ჩაუსახა ასეულ ათასობით დევნილს. რაკი შევარდნაძე პასუხისმგებლობას იღებს არა მხოლოდ წარსულისთვის (რაც მხოლოდ ეფექტურ ჟესტად შეიძლებოდა ჩათვლილიყო .- ვინაა პასუხის მომთხოვნი?), არამედ მომავლისთვისაც - ესე იგი რაღაც კარგს უნდა ველოდოთ.

“კარგი“ კი ჯერჯერობით მხოლოდ ერთია: მოლაპარაკებები გრძელდება და, თურმე, შევარდნაძე “ახლახან ტელეფონით ესაუბრა ვლადისლავ არძინბას, კონტაქტები არსებობს სხვა დონეებზეც, რაც, მისი აზრით, მოწმობს კონსტრუქციული დიალოგის მოგვარების პერსპექტივას“ (საქართველოს რესპუბლიკა, №69, 1996).

ამ პერსპექტივას მხოლოდ წარსული გამოცდილებიდან აღმოცენებული ეჭვები აყენებს ჩრდილს. შევარდნაძისა და არძინბას პირდაპირ თუ სატელეფონო კონტაქტებს, როგორც წესი, საქართველოსთვის დიდი კომპრომისები და დიდი ტრაგედიები მოსდევდა, რომელთა გამო შემდეგ პასუხს არც ერთი აგებდა, არც მეორე და არც მათი მომრიგებელი. დამნაშავედ ყოველთვის სხვა გამოჰყავდათ.

ამჯერადაც, საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და მისი მომხრეების საჯარო საპარლამენტო გასამართლების შემდეგ, მიღებული იქნა დადგენილება, რომელშიც ვითომდაც არადამაკმაყოფილებლადაა მიჩნეული აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ჯარების მოქმედება. ლაპარაკია იმაზე, რომ არსებული მანდატი არ ამართლებს და თუკი კიდევ არ გაამართლებს, დაისმება საკითხი რეგიონიდან სამშვიდობო ძალების ორი თვის ვადაში გასვლის შესახებ. ამთავითვე ნათელია, რომ ეს დებულება არაფერს ავალებს არც რუსეთის, არც საქართველოს მმართველობას და, საფიქრალია, მხოლოდ საბაბი გახდება რუსეთთან მორიგი დიპლომატიური ფოქსტროტის გასაჩაღებლად.

ცეკვა უკვე დაიწყო: ესოდენ “რადიკალური“ დადგენილების ფონზე, 19 აპრილის მოლაპარაკებების შედეგად, რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატი კვლავ ერთი თვით გაგრძელდა, ხოლო აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენა იწყება სატელეფონო და საფოსტო კავშირების ცენტრალიზაციის გზით, რათა არძინბა მოსკოვს თბილისის გავლით უკავშირდებოდეს.

### პასტუხოვი თითს უქნევს ოსებს

...და სწორედ ესაა დიდი ილუზიების კიდევ ერთი წყარო. კავკასიაში რუსეთის მედიატორმა, ცხინვალში ამასწინანდელი ვიზიტის დროს, კატეგორიულად დაუსვა საკითხი ოსთა ლიდერებს - თუ ისინი არ დათანხმდებიან კონფლიქტის მოგვარების ნულოვან ვარიანტს, რუსეთი გაიყვანს რეგიონიდან თავის სამშვიდობო ძალებს. და ამ მუქარით დაშინებული სეპარატისტები დათანხმდნენ. აი, დემოკრატიული რუსეთის პოზიტიური გარჯის რეალური მაგალითი!

რასაკვირველია, თავისთავად სასაცილოა, თითქოს რუსეთს მუქარით უხდებოდეს ოსების დაყოლიება მისთვის სასურველ პირობებზე, მაგრამ, ამას გარდა, ლოგიკურად ჩნდება კითხვები: რა ვუყოთ რუსეთის რეაქციულ წრეებს, რომლებიც, როგორც ჩანს, პასტუხოვისგან განსხვავებით, იარაღის ენასაც ფლობენ? ისინი მზად არიან ამ პირობის შესასრულებლად? ასე რომ, ორი რუსეთის გამოგონილი ფაქტორი უკვე ის ხაფანგია, რომლის ადგილმდებარეობაც და მექანიზმიც ყველასთვის ცნობილია და მხოლოდ ბრიყვი თუ გაებმება მასში... მეათედ.

ან კი რას ნიშნავს თავად ეს მუქარა - ესე იგი, რაკი ოსებმა მიიღეს ნულოვანი ვარიანტი, რუსეთის სამშვიდობო ძალები არ გავა რეგიონიდან და სეპარატისტებსაც შეუძლიათ მშვიდად იყვნენ? რას მოიგებს ამ შემთხვევაში საქართველო? შემოთავაზებული ნულოვანი ვარიანტი, ადრე არსებული სქემით, ნიშნავს “სტატუს კვოს“ აღდგენას, ანუ ოსები აუქმებენ ავტონომიურ რესპუბლიკას, საქართველო - უზენაესი საბჭოს 1990 წლის დადგენილებას ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ. საფიქრალია, რომ რუსეთის ასეთი გულწრფელი გარჯის შემდეგ, საქართველოს მმართველობა უპირობოდ, ყოველგვარი მუქარის გარეშე მიიღებს ამ ვარიანტს, რომელიც მხოლოდ ერთი რგოლია კავკასიაში ვითარების მოგვარების ერთიანი გეგმისა.

### შევარდნაძის კავკასია სტალინური გეგმით

აშკარაა, რომ ბოლო დროს შევარდნაძე კვლავ ცდილობს მოირგოს საერთო ეროვნული ლიდერის მანტია, რომელიც მისთვის უზომოდ დიდია და არც მის ამპლუას მიესადაგება. ამ ახალი როლის დემონსტრირება იყო არა მხოლოდ 31 მარტის რეფერენდუმისა და დამოუკიდებლობის აღდგენის ხუთი წლისთავის აღნიშვნა, არამედ ცოტა ადრე, ალიევთან დუეტში დამღერებული მშვიდობიანი კავკასიის იდეა და ჩეჩნეთის კანონიერ ხელისუფლებასთან წათამაშების მცდელობა, რაც ზოგიერთი მიამიტის თვალში მას ზვიად გამსახურდიას კავკასიური პოლიტიკის მემკვიდრედაც კი სახავს. ნავთობმაგისტრალის გაყვანის ეპოქალური პროექტი, რომლის ძირითად დამფინანსებლად დასავლეთის ავტორიტეტული კორპორაციები გამოდიან, საკმაოდ მომგებიან ფონს უქმნის შევარდნაძეს და თითქოს პროდასავლური შტრიხები შემოაქვს მის ზედმეტად ჩდრილოეთურ პოლიტიკაში. რეალურად კი, საქართველო ამ თამაშში რუსეთის ფორმალური წარმომადგენლის როლში გამოდის თუნდაც იმიტომ, რომ ნავთობმაგისტრალის აქციების საკონტროლო პაკეტი, ფაქტობრივად, რუსეთის ხელშია.

რუსეთის ხელშია აგრეთვე კავკასიის სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის ყველა პლაცდარმი, ამიერკავკასიის რესპუბლიკების საზღვარი უცხო, დსთ-ში არშემავალ ქვეყნებთან, ანუ ყოფილი სსრკ-ს საზღვარი, შავი ზღვის აკვატორია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი, რომლის გარშემო წარმოქმნილ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში საქართველომ აქტიური ნეიტრალიტეტის პოზიცია დაიკავა; კავკასიაში არსებული კონფლიქტური რეგიონების ტერიტორიებს, ამ ქვეყნების მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელდასმით, აკონტროლებს რუსეთის სამხედრო კონტინგენტი; რუსეთ-საქართველოს ე.წ. დიდი ხელშეკრულების თანახმად, საქართველო ვალდებულია კონტროლი გაუწიოს თავის ტერიტორიაზე სხვა ქვეყნების მოქალაქეებისა და იურიდიული პირების საქმიანობას რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით.

ეს რეალობა, რუსეთ-ბელორუსიისა და ე.წ. ოთხთა კავშირის ფონზე, სრულიად სხვაგვარად წარმოაჩენს კავკასიის გაერთიანების შევარდნაძე-ალიევისეულ პროექტს და გვაფიქრებინებს, რომ ჩვენს თანამედროვეობაში მეორდება 20-იანი წლების გასაბჭოების შემდგომი პროცესები: ამიერკავკასიის სეიმის კვალდაკვალ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა, ამ ფედერაციის შიგნით ამიერკავკასიის რესპუბლიკების ბალკანიზაცია ავტონომიური ერთეულების ხელოვნური შექმნის გზით და შემდეგ ამ დეცენტრალიზებული კონგლომერატის შეყვანა სსრკ-ში. თანამედროვე ეტაპზე ეს კლასიკური სტალინური გეგმა, ალბათ, ოდნავ შელამაზდება სახაროვისეული კონსტიტუციის ელემენტებით.

აღსანიშნავია, რომ რუსი დისიდენტის ეს ქმნილება იმთავითვე “პერესტროიკის“ არქიტექტორთა ერთ-ერთ ფუძემდებლურ დოკუმენტს წარმოადგენდა. საქართველოს ახალი კონსტიტუციის დროებით თაროზე შემოდებული თავი ქვეყნის ფედერალური მოწყობის შესახებ, შეიძლება ითქვას, პირდაპირი ციტატაა სახაროვის კონსტიტუციიდან, რომლის კონცეფცია დაფუძნებული იყო დიად იდეაზე სსრკ გარდაექმნა აშშ-ად. უფრო ზუსტად კი, შეეცვალა მმართველობის უვარგისი სისტემა იმპერიის დაშლის გარეშე.

ასე რომ, ყველაფერი ნულოვანი ვარიანტისკენ მიდის...

*ანა ჭავჭავაძე*

## ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოება (IGFM-ISHR)

### პოლიციამ დაარბია 9 აპრილის საპროტესტო აქცია

საქართველოში კვლავ ირღვევა კანონი დემონსტრაციების შესახებ. ამის ახალ მაგალითად 1996 წლის 9 აპრილის საპროტესტო დემონსტრაცია გამოდგებოდა.

1996 წლის 9 აპრილს “საქართველოს ჰელსინკის კავშირისა“ და “მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ მოწოდებით გამოვიდა ათასობით თბილისელი, რათა პატივი ეცათ 1989 წლის 9 აპრილის მსხვერპლთათვის, მოეთხოვათ პოლიტპატიმრების გათავისუფლება და გამოეხატათ პროტესტი რეპრესიული რეჟიმისადმი, აგრეთვე რუსეთის ჯარების საქართველოში განლაგებისა და დსთ-ს შემადგენლობაში ყოფნის გამო.

პოლიციის სპეცნაწილებმა ისინი ხელკეტებით დაშალეს (EURONEWS, 9.4.1996).

მრავალი დააპატიმრეს. მათ შორის თბილისის IGFM ჯგუფის წევრები: მაია კერესელიძე, ლია ბერუაშვილი, ანა ჭავჭავაძე, ლალი ლომაძე, ლევან ურუშაძე;

“საქართველოს ჰელსინკის კავშირის“, “კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების“ და “მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ წევრები: ეთერ მგალობლიშვილი, ავთანდილ დავითაია, ლეილა ცომაია, მადონა მუსერიძე, ნანა გიგაური, გულნარა კობიაშვილი, ზურაბ ურუშაძე, მურმან მზარელუა, შალვა ჩილინდრიშვილი, ზურაბ კვარაცხელია, ზურაბ ჯავაშვილი, აბესალომ არობელიძე, ზურაბ წულაია და რობერტ პეტრიაშვილი(უზენაესი საბჭოს დეპუტატი).

15 საათის შემდეგ ყველა მათგანი გაათავისუფლეს. მხოლოდ ლეილა ცომაიამ გაატარა 15 დღე პატიმრობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენებას იძლევა უზენაესი საბჭოს წევრი ნუგზარ მოლოდინაშვილი

## მერაბ კოსტავას საზოგადოების შექმნა

ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტი და წმიდა ილია მართლის საზოგადოება აღმოჩნდნენ ჯაბა იოსელიანის პოზიციის გამზიარებლები. ზვიად გამსახურდია მაშინ სრულ იზოლაციაში აღმოჩნდა. ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში მის პოზიციას მხარდამჭერი არ ჰყავდა. ფაქტობრივად, ვაჟა ადამია აღმოჩნდა დილემის წინაშე - ან დამორჩილებოდა ილია მართლის საზოგადოების გამგეობას და ეროვნული დაუმორჩილებლობის მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებას (რაც ნიშნავდა იმ რეგიონის ქართული სოფლების მოსახლეობის, ფაქტობრივად, დაუცველად დატოვებას), ან გასულიყო ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტიდან.

ხანმოკლე თათბირის შემდეგ გადავწყვიტეთ, ვაჟა ადამიას დაეტოვებინა კომიტეტიც და საზოგადოებაც და შეგვექმნა ახალი ორგანიზაცია.

**1989 წლის 11 იანვარს სოფელ ტირძნისში** შეიქმნა სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება. მისი შექმნა დაადასტურა 12 კაცმა, მათ შორის მეც. მაშინ არ მიფიქრია და შემდგომში კი დავრწმუნდი იმაში, რომ საზოგადოებისთვის პიროვნების სახელის მიკუთვნება არცთუ ისე მადლიანი საქმეა.

მეორე დღეს დავბრუნდი თბილისში და საქმის კურსში ჩავაყენე ბატონი ზვიადი. ვთვლიდი, რომ მისი სულიერი ძმის ხიკვდილის შემდეგ, დარჩა რა სრულიად მარტო, დასჭირდებოდა მერაბივით ერთგული პარტიული ორგანიზაცია - ერთი კაცის მაგივრობა მთელ კოლექტივს უნდა გაეწია. შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურა, რომ ესეც მკრეხელური აზრი იყო - ერთმა კაცმა შეიძლება შეცვალოს მთელი ორგანიზაცია, ორგანიზაცია კი ვერ შეცვლის ერთ კაცს. ზვიად გამსახურდიას, არც საწინააღმდეგოდ და არც დასტურად, არაფერი უთქვამს. შეიძლება, არც ესიამოვნა.

## რას აკეთებდა ამ დროისთვის სახალხო ფრონტი და ნოდარ ნათაძე

მე ვარ იმისი მოწმე, როგორ დაინიშნა სახალხო ფრონტის თავმჯდომარედ ნოდარ ნათაძე. ეს მოხდა მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას უდიდესი ძალისხმევით. სახალხო ფრონტში იყვნენ ალექსანდრე ჯავახიშვილი, მერაბ მამარდაშვილი, კობა იმედაშვილი და სხვები, მაგრამ, ჩემი აზრით, მერაბის და ზვიადის ავტორიტეტმა აქ გადამწყვეტი როლი ითამაშა.

შემდგომი უთანხმოების მიზეზი გახდა - რაც დღემდე გრძელდება, 1990 წლის მარტში დანიშნული არჩევნები. იმის გამო, რომ ზვიად გამსახურდიამ ჩაშალა ეს არჩევნები (ბოდიშს მოვუხდი ბ-ნ ნოდარს და, თუ შეიძლება, მაპატიოს), მან დაკარგა უნიკალური შანსი - უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე გამხდარიყო. ეს მეტად პროზაული და, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი სუბიექტური მომენტი გახდა მიზეზი შემდგომი მუდმივი ოპოზიციონერობისა ბატონი ნოდარის მხრიდან.

## ზვიად გამსახურდიას გასვლა ფორუმიდან

ფორუმის სხდომები დღითი დღე ემსგავსებოდა ქურდულ "სხოდნიაკს". ყოველმხრივ იქმნებოდა ისეთი პირობები, რომ ზვიად გამსახურდიას დაეტოვებინა ფორუმი. მიდიოდა მისი პერმანენტული პროვოცირება. აპრილის დასაწყისში, როცა ბატონი ზვიადი ბორჯომში იმყოფებოდა, რუსთაველზე მოხდა პირველი გასროლა, რომელსაც შემდგომ ძალიან დიდი ექო ჰქონდა. მაშინ ჩავთვალე და ახლაც ვფიქრობ, რომ მისი დარჩენა ფორუმში უკვე პირადი დისკრედიტაციის ტოლფასი იქნებოდა. მან ბორჯომიდან გამოგზავნა წერილი და პიროვნულად დატოვა ფორუმი. თუმცა, არც ჰელსინკის კავშირისთვის და არც სხვა ორგანიზაციებისთვის არ მოუწოდებია, მიებაძათ მისთვის.

პირველი ორგანიზაცია, რომელმაც სოლიდარობა გამოუცხადა ბატონ ზვიადს, იყო მონარქისტულ-კონსერვატიული პარტია. თითქმის პარალელურად და მაშინვე ილია მართლის, მერაბ კოსტავას და თეთრი გიორგის საზოგადოებებმა დატოვეს ფორუმი.

## ორი ფრთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში

ყველაფერი, რაც აქამდე ვთქვი ფორუმის შესახებ, მაშინაც ჩანდა და შემდეგ უკეთესად გამოჩნდა, იყო ზედაპირზე მყოფი სუბიექტური მომენტები, რომელსაც საფუძვლად ძალიან ღრმა, კონცეპტუალური მიზეზები ედო. ფაქტობრივად, ფორუმი დატოვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმ ფრთამ, რომელმაც ზუსტი და ამომწურავი შეფასება მისცა ცხრა აპრილის შემდგომ საქართველოში შექმნილ უნიკალურ სიტუაციას. კერძოდ, როგორც აღვნიშნე, შეიქმნა ისეთი სიტუაცია, როდესაც ქვეყანას აბსოლუტურად სხვა მართავდა და არა ოფიციალური ხელისუფლება. ეს ქმნიდა უპრეცედენტო შანსს საპარლამენტო გზით ქვეყნის გათავისუფლებისა, რაც შემდგომში განხორციელდა კიდეც - ქართული ხავერდოვანი რევოლუცია მშვიდობიანი პარლამენტური გზით. ეროვნული მოძრაობის გონიერმა ნაწილმა აირჩია საპარლამენტო არჩევნების გზა, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე. ხოლო მეოცე საუკუნის "მაძინისტები" (ედპ ასე უწოდებდა თავის თავს) დარჩნენ ერთგულნი რევოლუციური გზისა და ბოლშევიკური მეთოდებისა, რაც შემდგომ, 1991 წლის ზამთარში წარმატებით განახორციელეს, არა თავიანთი ძალისხმევით, რასაკვირველია.

აი, ის ღრმა მიზეზები, რამაც გამოიწვია ფორუმის გახლეჩა - მეტად სამწუხაროდ, შემდგომი მოვლენების გათვალისწინებით. ეროვნულ მოძრაობაში მოხდა განხეთქილება პოზიციურ საფუძველზე და ამ პოზიციების დაახლოება შეუძლებელი გახდა ფორუმიდან ორგანიზაციების გამოსვლის შემდეგ.

## "მრგვალი მაგიდის" დაფუძნება

ჰაერში ტრიალებდა ახალი გაერთიანების იდეა, რომელსაც საფუძვლად დაედო ბრიტანული ეპოსი - "არტურის მრგვალი მაგიდა". გაერთიანების ფუძემდებლური პრინციპი გულისხმობდა თანასწორთა მხოლოდ და მხოლოდ კონსენსუსის პრინციპით ურთიერთობას. შემდგომში დაერქვა კიდეც მას "მრგვალი მაგიდა". მაქვს ბედნიერება, ვიყო ერთ-ერთი დამფუძნებელი 17 კაცს შორის.

დაგვევალა "მრგვალი მაგიდის" წესდების შემუშავება - მერაბ ურიდიას, ზვიად ბოკუჩავას, გელა ჩორგოლაშვილს და მე. წესდება შემუშავებულ იქნა უმოკლეს ვადაში. კონსენსუსით მუშაობის პრინციპი გარანტირებული რომ ყოფილიყო, წესდებაში შეტანილ იქნა ვეტოს პრინციპი. ფაქტობრივად, ორგანიზაციაში სახეზე გვქონდა ოთხივე ვეტო და ერთიც დამატებითი - სპიკერის. ეს იყო გაეროს უშიშროების საბჭოს პრინციპი. ეს ვეტო დამოკლეს მახვილივით ეკიდა და - გინდა, არ გინდა - კონსენსუსის გზით უნდა გემუშავა. არც არავის გამოუყენებია ეს ვეტო.

ამის შემდეგ დაიწყო ფუნქციონირება საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთმა უნიკალურმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ - "მრგვალი მაგიდა".

## არჩევნებისთვის მზადება

მაისის ბოლოდან იწყება სტრატეგიული კურსის განხორციელების ბოლო ეტაპი. სტრატეგიულ მიზნად მე ამის წინ დავასახელე პარლამენტურ არჩევნებში გამარჯვების გზა. ჩამოყალიბდა საკონსულტაციო კომისია, რომლის წევრიც გახლდი. კომისიას უნდა შეემუშავებინა კომპრომისული ვარიანტი მრავალპარტიული სახალხო-საარჩევნო კანონისა. ამ კომისიაში მოგვიწია ერთად მუშაობა ჯ. ხეცურიანს, ლ. ალექსიძეს, ზ. ჟვანიას, გ. ბარამიძეს, რ.შავიშვილს, ვ. ხმალაძეს, მ. ურიდიას...

მოსამართლე: - საკმარისია ჩამოთვლა.

ნუგზარ მოლოდინაშვილი: - ესენი მერე გამოგვადგებიან... და მათ შორის მეც. ვთვლი, რომ საკონსულტაციო კომისიამ ნაყოფიერად იმუშავა. ბატონ ლევანს უყვარს სიტყვა კონსენსუსი.

ფორუმში დარჩენილი პარტიები მტკიცედ იდგნენ ბოიკოტის პოზიციაზე. სამაგიეროდ, გამოინახა კონსტრუქციული დიალოგის საშუალება სახალხო ფრონტთან, რუსთაველის საზოგადოებასთან, დასთან და სხვა პარტიებთან, რომლებსაც ანალოგიური მოსაზრება ჰქონდათ ამ საკითხზე.

სრული პასუხისმგებლობით მინდა გითხრათ, ზვიად გამსახურდია იყო ინიციატორი და უპირველესი მოსურნე იმისა, რომ ეროვნული ძალები არჩევნებში ერთიანი ფრონტით, ერთ ბლოკად გამოსულიყვნენ.

ზვიად გამსახურდია, რამდენიმე კაცთან ერთად, პირადად ეწვია (მეც გახლდით) წყნეთში, აგარაკზე აკაკი ბაქრაძეს და სთხოვა ერთ ბლოკად გაერთიანება. ასეთი გაერთიანების შემთხვევაში, თვითონ თანახმა იყო ნებისმიერ ნომრად დასახელებულიყო საარჩევნო სიაში, თუნდაც სულ ბოლოდ. სამწუხაროდ, ბატონი აკაკის პასუხი იყო დელიკატური, მაგრამ უარყოფითი.

## ზვიად გამსახურდიას წერილი ყაზბეგიდან

ერთი მომენტი გამომრჩა - ბატონი ზვიადის წერილი ყაზბეგიდან "მრგვალი მაგიდისადმი". ზვიად გამსახურდიამ ქორიძეს გამოატანა ეს წერილი და მან "მრგვალი მაგიდის" სხდომაზე წაგვიკითხა. ავტორი მოგვმართავდა თხოვნით, გაგვეგო მისთვის და გაგვეთავისუფლებინა აუცილებლობისგან პიროვნულად მიეღო მონაწილეობა არჩევნებში, ვინაიდან საარჩევნო კამპანია, ფაქტობრივად, მოწინააღმდეგეთა მიერ მისი ლანძღვა-გინების და ძალაუფლებისკენ მანიაკალურ სწრაფვაში დადანაშაულების კამპანიად იქცა. წერილის მოსმენამ გამაოგნებელი ეფექტი იქონია. კოსტავას საზოგადოებამ შესვენების გამოცხადება ითხოვა. თათბირის შემდეგ ჩვენ მივედით საერთო დასკვნამდე და ორგანიზაციულად განვაცხადეთ შემდეგი: სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება მხარს უჭერს და სოლიდარობას უცხადებს ბატონ ზვიად გამსახურდიას და, გამომდინარე თავისი საპროგრამო დოკუმენტიდან, რომ საზოგადოების ძირითადი პრინციპია მერაბ კოსტავას სულიერი მემკვიდრეობის გაგრძელება, შეუძლებლად თვლის ამ კონკრეტულ სიტუაციაში ბატონი ზვიადის მიტოვებას; და თუ ის პიროვნულად არ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, კოსტავას საზოგადოებაც უარს განაცხადებს არჩევნებში მონაწილეობაზე და გარედან ყველაფერს გააკეთებს ბლოკის არჩევნებში გასამარჯვებლად. ამ განცხადების შემდეგ რადიკალურად შეიცვალა იქ წარმოდგენილი დამფუძნებელი ორგანიზაციების პოზიციაც. მათ მხარი დაუჭირეს კოსტავას საზოგადოების ინიციატივას და არჩევნები ეჭვქვეშ დადგა. მე მაშინაც ასე ვთვლიდი და ახლაც მიმაჩნია, რომ ეს წერილი იყო ბ-ნი ზვიადის წამიერი ყოყმანი, ანუ ხატოვნად რომ ვთქვათ, "უფალო, ამაცდინე სასუმელი ესე".

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მას არასოდეს დაუფიქრებია თავისი უდიდესი მოვალეობა და მისია ქართველი ერის წინაშე. თუნდაც რომ გაეზიარებინა "მრგვალ მაგიდას" მისი ეს პოზიცია, ვეჭვობ მას ასცდენოდა უსაფუძვლო ბრალდებების ნიაღვარი. უბრალოდ, ბრალდებები შეიცვლებოდა - თუ აქამდე ხელისუფლებისკენ მანიაკალურ სწრაფვას აბრალებდნენ, მერე დააბრალებდნენ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მცდელობას და შიშს ამ პასუხისმგებლობის გაზიარებისთვის. მისი წილი დიდი ხანია ნაყარი იყო, რაც ჩემზე და სხვაზე უკეთესად თავად იცოდა. მეორე დღეს იგი დაბრუნდა და უარი განაცხადა თავის წერილზე. რომ არა ეს, შემდეგი მოვლენების მიმდინარეობაც საეჭვო გახდებოდა, ალბათ, არ გვექნებოდა 31 მარტი და 9 აპრილი.

## არჩევნებში გამარჯვება

არჩევნების შედეგები მოულოდნელი აღმოჩნდა. ამ შედეგებს ვერავინ გაითვალისწინებდა. ბლოკს გამარჯვება ბრწყინვალედ და, ფაქტობრივად, უზენაესმა საბჭომ ნახევარზე მეტი ადგილები მოიპოვა. მრავალპარტიული არჩევნების სპეციფიკიდან გამომდინარე, გამარჯვებული ბლოკი დადგა აუცილებლობის წინაშე, დაეკომპლექტებინა უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელი ორგანოები, მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეები და მოადგილეები, რომლებიც ავტომატურად პრეზიდიუმის წევრებიც ხდებოდნენ. ბლოკის სასახელოდ უნდა ითქვას, ეს დელიკატური საკითხი კონფლიქტებისა და ექსცესების გარეშე გადაწყდა.

14 ნოემბერს ჩატარდა უზენაესი საბჭოს პირველი სხდომა. მუხრან მაჭავარიანის წარდგენით, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, საერთო ოვაციების ქვეშ დამტკიცებულ იქნა ზვიად გამსახურდია.

---

კონსტანტინე გამსახურდია

## ზვიად გამსახურდია

### დისიდენტი - პრეზიდენტი - მოწამე




(მეოთხე თავის დასასრული)

### 1989 წლის 9 აპრილი - პერესტროიკის ერთი ასპექტი

ერთ-ერთი თვითმხილველის თქმით, ტანკი ხალხში შეიჭრა. მისი გავლის შემდეგ მასა ისევ შეიკრა - თითქოს წყალი გაკვეთესო. შემდგომ შეტევაზე გადმოვიდნენ ხელკეტებით და ფარებით შეიარაღებული ჯარისკაცები:

"მე სულ რაღაც 5 მეტრით ვიყავი მათგან დაშორებული. ერთმა ქალმა ფეხსაცმელი ესროლა მისკენ მარშით მომავალ ჯარისკაცებს. შესაძლოა, კიდევ ბევრს ჰქონდა სურვილი ასე მძაფრად გამოეხატა თავისი პროტესტი, მაგრამ დემონსტრანტები ხელცარიელები იყვნენ. უცებ გაისმა ბრძანება, ჯარისკაცებმა ხელკეტები ზემოთ აიქნიეს, შესახვევიდან დაიძრნენ სხვა რაზმები და ყველა ერთად დაერია დემონსტრანტებს. შეიარაღებულ ჯარისკაცებს ხელში საბრძოლო ნიჩბებიც ეჭირათ. ზოგიერთი დემონსტრანტი წინააღმდეგობას უწევდა: ესროდნენ ქვებს, ვიღაცას ხელში ღობეებიდან გამოტვრეული ფიცრები ეჭირა, ზოგს კი ხელკეტი გამოეგლიჯა ჯარისკაცებისთვის... საქმე ცუდად ჰქონდა იმას, ვინც თავდაცვას ვერაფრით ახერხებდა... ხალხში ცრემლმდენი გაზის ყუმბარები ისროლეს. ერთი იქვე, ჩემს ცხვირწინ აფეთქდა."

ზვიად გამსახურდიამ დაადგინა, რომ ქართული პოლიციის რაოდენობა, რომელიც მთავრობის სახლს და მის შემოგარენს იცავდა, 9 აპრილს საგრძნობლად შეამცირეს, ჩამოართვეს იარაღი. ეს აშკარად ცუდის მაუწყებელი იყო. თანაც მოვიდა ინფორმაცია სპეცრაზმების საბრძოლო მზადყოფნის შესახებ. იმ დღეებში უნივერსიტეტში და სხვადასხვა საწარმო-დაწესებულებებში მოშიმშილეებისადმი სოლიდარობის ნიშნად მოეწყო გაფიცვები. გაიზარდა მოშიმშილეთა რიცხვიც. პატრიარქის მოწოდებამ შედეგი ვერ გამოიღო - დემონსტრანტები არ დაიშალნენ, ამიტომ ეს საქმე გამსახურდიას უნდა ეთავა. პოლიციის უფროსმა იგი მთავრობის სახლის კარიბჭესთან გაიხმო, რათა ლენინის მოედანზე განლაგებული ტანკებისა და სპეცრაზმების შესახებ ეცნო.

იმ ღამის მოვლენებს პრეზიდენტი ასე აღწერდა:

" - თუ ხალხი 15 წუთში არ დაიშლება, ტრაგედია დატრიალდება.

მე მას ვუთხარი, რომ, სულ მცირე, ორი საათი მჭირდებოდა სხვა ლიდერებთან მოლაპარაკებისთვის.

მან სტერეოტიპულად გაიმეორა: - 15 წუთი!

შევეცადე ამეხსნა, რომ გორბაჩოვის ავტორიტეტი დაეცემოდა საზღვარგარეთის თვალში. მაშინ იქვე მდგომი თანამდებობის პირი მომიახლოვდა და მითხრა: დაიმახსოვრე, სახლს აგიფეთქებთ, ცოლ-შვილს დაგიხოცავთ და ბოლოს შენც მოგკლავთ!

როცა დემონსტრანტებთან მივბრუნდი, რომელთა შორის მრავალი ქალი და ბავშვი იყო, მოისმა ყვირილი: "ჯარი მოდის!" ცოტა ხანში პირველი ტანკებიც გამოჩნდა და მშვიდობიან დემონსტრანტებში ნელი სვლით შეიჭრა. ტანკებს მოჰყვებოდა დიდი ფარებით, ხელკეტებით და პირბასრი საბრძოლო ნიჩბებით შეიარაღებული რაზმები. დემონსტრანტები წინააღმდეგობის გარეშე უთმობდნენ გზას ტანკებს. როცა მათ ჩაიარეს, ჯარისკაცებმა მშვიდობიან დემონსტრანტებს ხელკეტებით დაუწყეს ცემა. დიდი არეულობა შეიქმნა. თავიდანვე აშკარა იყო, რომ ჯარი განსაზღვრული გეგმით მოქმედებდა."

სპეცრაზმები ცდილობდნენ, ხალხი მთავრობის სახლისკენ მიემწყვდიათ და ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, რომ დემონსტრანტებმა ამ შენობაზე მიიტანეს იერიში. ამ სიტუაციას ისინი უტყუარ საფუძვლად გამოიყენებდნენ და ხალხს უმოწყალოდ დაუშენდნენ ტყვიას.

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წამების სტალინური პრაქტიკა დღევანდელ საქართველოში

**ზუგდიდში, 1994 წლის 16 მაისს ავტომანქანაში ჩაცხრილეს წალენჯიხის რაიონის პოლიციის უფროსი გ. კალანდია, მისი ორი თანამშრომელი და მოქალაქე რ. ხარჩილავა. ეს დანაშაული, სხვა ბრალდებებთან ერთად, წაუყენებული აქვთ ბადრი ზარანდიას, ზვიად შეროზიას, გურგენ მალანიას, გაბრიელ ბენდელიანს, მურთაზ გულუასა და კარლო ჯიჭონაიას, რომელთაგან ნაწილი აცხადებს, რომ დაპატიმრებამდე არც კი იცნობდნენ ერთმანეთს; და მაინც, მათ "ალიარეს" ერთობლივი დანაშაულის ჩადენა. და აი, დადგა მომენტი, რომელსაც თითოეული მათგანი ელოდა: 11-18 აპრილს განსასჯელებმა სასამართლოს მისცეს, როგორც თვითონ ამბობენ, ნამდვილი ჩვენებები.**

## ბადრი ზარანდიას ჩვენებიდან

დაპატიმრების დროს დავიჭერი ფეხში. ძალოვანი სტრუქტურების ჩარევით, მთლიანად ამპუტირებული მაქვს მარცხენა ფეხი. ოპერაციის დროს, შემთხვევით თუ განზრახ, ჭრილობაში ჩამიტოვეს სამედიცინო საკერავი ნემსი, რის გამოც კიდევ ორი ოპერაციის გაკეთება მოიხდა. ნარკოზიდან გამოყვანისას თავში მირტყეს ავტომატური იარაღის კონდახები, რის შედეგადაც მიღებული მაქვს ჭრილობები თავის უკანა არეში და ქვედა ყბაზე.

თბილისში გამიკეთეს მიკრონარკოზი და გადამიყვანეს ბაროკამერაში, რადგან განგრენა წელზე იყო გადასული. 5-ჯერ მქონდა სისხლის დენა. 500-600 გრამ სისხლს ვკარგავდი ყოველ ჯერზე. სულ 1,5 ლიტრი სისხლი დავკარგე. ბოლოს ექიმმა ბადრი ბალავაძემ და პროფესორმა ივალაძემ იპოვეს ჭრილობაში ჩარჩენილი ნემსი და ამოიღეს, მაგრამ ოპერაცია ჩამიტარდა უნარკოზოდ, რადგან ამდენი ნარკოზი საშიში იყო.

ჩემი ექიმის, მურჯიკნელის დასკვნის გარეშე ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან გამწერეს და გადამიყვანეს იზოლატორში. მესამე დღეს გამოვაცხადე შიმშილობა მოთხოვნით - გადამეყვანე ცალკე საკანში, მაგრამ ყურადღებას არავინ მაქცევდა. 15 დღის შემდეგ გადავედი მშრალ შიმშილობაზე, იძულებული ვიყავი ამომეკერა პირი. 10 დღის მშრალი შიმშილობის შემდეგ დამეწყო ჰალუცინაციები. მაშინ მოვიდა გავაშელი, ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციის წევრი. მას ავუხსენი, რომ მოვითხოვდი საავადმყოფოში დაბრუნებას და წითელი ჯვრის მოსვლას. საერთო შიმშილობის 29-ე (მშრალი შიმშილობის 12-ე) დღეს - ფეხზე ვერ ვდგებოდი და დავკარგე მხედველობა.

ჩემი დაპატიმრების პერიოდში აიყვანეს მთელი ჩემი ნათესაობა: დედაჩემის 69 წლის ბიცოლა, ბიძები; ფეხის მოჭრის დღეს აიყვანეს ჩემი ორი და, სიძეს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, ხოლო მამას ესროლეს ავტომატიდან შეშინების მიზნით... საავადმყოფოში ვიზიტის დროს პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკმა სვირავამ ამიხსნა, რომ თუ რომელიმე მკვლელობას არ ავიღებდი თავზე, იმ საღამოს ჩემს დასთან ერთად, რომელსაც ოთახში ღამით ჩემთან ტოვებდნენ, ამაფეთქებდა.

## პატიმარს ფრჩხილები დააძრეს.

**მე, გაბრიელ (დათო) ბენდელიანი, 22 წლის, ვცხოვრობ ზუგდიდში. ვიყავი თენგიზ ბულიას ბატალიონის წევრი. 1993 წლის აგვისტოსა და სექტემბერში ვიბრძოდი აფხაზეთში.**

მაწამებდა პირადად დათო არონია, რომელიც ბრტყელტუჩას საშუალებით მაძრობდა ფრჩხილებს. მას ბორის კვარაცხელია ეხმარებოდა. ტკივილისგან გავითიშე. გონს რომ მოვედი, ავიღე ჩემი ფრჩხილები და ჯიბეში შევინახე.

როდესაც ზუგდიდის ციხეში გადამიყვანეს, იქ შემახვედრეს მალანია. სასტიკად იყო ნაცემი. დაპირისპირებას ადვოკატი არ ესწრებოდა. მე ვთქვი სიმართლე. ციხის უფროსმა ვახტანგ იზორიამ გააფრთხილა კვარაცხელია - პატიმრის ცემა აქ არ შეიძლებაო. მაშინ კვარაცხელიამ ამოიღო "მაკაროვი", შუბლზე დამადო და მითხრა - მოგკლავ, თუ ყველაფერს ისე არ იტყვი, როგორც საჭიროაო. მე სასამართლოზე მაინც სიმართლის თქმას ვაპირებდი და მალანიასაც ვურჩიე თავის შენახვა - მაინც მოგვკლავენ და იქნებ სასამართლომდე მივაღწიოთ-თქო. ამიტომ ვიძლეოდი იმ ჩვენებებს, რომელსაც ბორის კვარაცხელია მკარნახობდა.

ზუგდიდის ციხეში უკვე მორიგეები მცემდნენ. რატომ მცემდნენ, არ ვიცი - ჩვენება ხომ უკვე მიცემული მქონდა. უკვე ვეღარ ვუძლებდი, ზეწარი დავხიე, თავის ჩამოხრჩობა მინდოდა, მაგრამ მორიგემ შენიშნა და გამიყვანეს ციხის უფროსთან, რომელსაც ყველაფერი მოვუყევი.

ციხეში შემახვედრეს დედაჩემს. ვუთხარი - ფრჩხილები რომ გამოგიგზავნე, კარგად მოუარე-მეთქი. ეს რომ გაიგეს, ისევ დამიწყეს ცემა და წამება - რატომ გაუგზავნეო. გამოძიებისას ადვოკატის თანდასწრებით სიმართლე არ მითქვამს იმიტომ, რომ ცემა განმეორდებოდა.

თბილისში რომ გადმომიყვანეს, რამდენიმე ხანი არავინ მოსულა. მერე მოვიდნენ მგელაძე და არონია - მათ ყურამდე მიაღწია, რომ სასამართლოზე სიმართლის თქმას ვაპირებდი. მკითხეს, ფრჩხილები რა უყავიო. არონიამ ჩხუბი დამიწყო, ხელის დარტყმა უნდოდა, მაგრამ მგელაძემ არ დაანება.

ერთ-ერთ დაკითხვაზე გამომძიებელმა ავთო ქურხულიშვილმა მითხრა: ჩვენება რომ შეცვალე და ამბობ მცემესო, მე წალენჯიხაში შევატყობინებ, იმათ მოვიყვან და ისევ გაცემინებ შენს თავსო. თბილისის ციხეში ჩემზე ზეწოლას ოპერატიული სამსახურის უფროსი ნუკრი ხუხუაც განაგრძობდა. არ ვუცემივარ, მაგრამ კარცერში ჩამსვეს 10 დღით.

წამების შესახებ გაგზავნილი მაქვს განცხადება ბაბილაშვილის სახელზე, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. პარლამენტშიც გავაგზავნე და სანდრო კავსაძეც იყო მოსული. მან ვიდეოფირზე გადაიღო ჩემი ფიზიკური მდგომარეობა და მითხრა - ნამდვილი ჩვენება დაწერე და ჩვენ მოგვეციო, მაგრამ შემდეგ აღარ მოსულა ჩვენების ჩამოსართმევად.

## ჩემი ჩვენებები არც წამიკითხავს

**მე, გურგენ მალანია, დავიბადე 1967 წელს. ვცხოვრობ სოფელ ოდიშში, დავამთავრე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი. 1985-87 წლებში ვმსახურობდი რუსეთის იმპერიის საოკუპაციო ჯარში. ვიბრძოდი აფხაზეთში, თენგიზ ბულიას ბატალიონის შემადგენლობაში.**

1994 წლის 9 სექტემბერს ზუგდიდის პოლიციამ, რუსის სამხედროებთან ერთობლივი ღონისძიების შედეგად, დამაპატიმრა სოფელ ოდიშში. წინააღმდეგობა არ გამიწევია. მიუხედავად ამისა, როგორც კი ჩამსვეს მანქანაში, მაშინვე დამიწყეს ცემა. მანქანაში ისხდნენ ზუგდიდის სამძებროს უფროსი სერგო ჩაჩიბაია, მოადგილე რუზგენ გოგენია, შსს - ს თანამშრომელი დათო არონია, საჭესთან იჯდა ჩემი თანასოფლელი, "მხედრიონელი" დათო კვიტატიანი. ზუგდიდის პოლიციაში ამიყვანეს მეორე სართულზე, სადაც დამხვდა უშანგი მგელაძე. იქვე წამიყენეს ბრალდება. მე ვუთხარი, რომ იმ პერიოდში პირად საქმეზე ვიმყოფებოდი თბილისში, ჩემი დის ბინაზე; დასახელებული პირებიდან გულორდავას ვიცნობ - ჩემი მეზობელია; ზარანდიას კი არ ვიცნობ, შემთხვევით მყავს ნანახი ერთხელ.

უშანგი მგელაძეს თვითონ არ დაურტყამს, მაგრამ მისი მითითებით სხვებმა დამიწყეს ავტომატის კონდახით და წიხლებით ცემა. ისინი იყენებდნენ ხელკეტებს, სკამის ფეხებს, პარკეტს, რაღაც ქამრისმაგვარით აწყობდნენ დახრჩობის ინსცენირებას წუთშესვენებებით.

შემდგომ ჩამიყვანეს ქვევით, "პრესის" ოთახში. გოგენიამ დამიწყო პროპაგანდა - შენ არ გვჭირდები, ზარანდია გვაინტერესებსო. მე გავუმეორე, რომ ზარანდიას არ ვიცნობ და იმ პერიოდში თბილისში ვიყავი. კვლავ შეუდგნენ ჩემს წამებას - ჩამომაცვეს აირწინაღი, ჩამომკიდეს ფეხებით და ისევ დამიწყეს ცემა. ეს დიდხანს გაგრძელდა, ან მწვავე ტკივილისგან ასე მომეჩვენა. შუალედებში რუზგენ გოგენია განაგრძობდა ჩემს გადაბირებას - დამეხმარე, გამოდი ცრუ მოწმედ ზარანდიას წინააღმდეგო. მე ვუპასუხე - დასამალი არაფერი მაქვს-თქო.

წნეხი განაგრძეს. გამიკეთეს "ვერტუშკა" - მაგიდასა და სკამს შორის მწვადივით ჩამომკიდეს და მცემდნენ მთელ სხეულზე, განსაკუთრებით, ფეხის ტერფებზე. აგრეთვე ფრჩხილქვეშ მჩხვლეტდნენ ნემსებით - საშინლად მტკივნეული იყო. ეს გაგრძელდა დღის ორი საათიდან გამთენიამდე. გონება არ დამიკარგავს, გავუძელი...

მაგრამ დილით გოგენიამ მიიღო სასურველი ჩვენება, რომელიც თავისი ხელით დაწერა გამომძიებელმა მებრძოლ ჭკადუამ. ხელი ისე მომაწერინეს, არც წამიკითხავს.

ამის შემდეგ გადამიყვანეს ციხეში. მაგრამ როდესაც თბილისიდან მოვლინებულმა გამომძიებელმა რეზო ზარანდიამ დაიწყო გამოძიება, დაიკითხნენ ჩვენებაში მოყვანილი მოწმეები და გოგენიას ნაკარნახევი ვერსია უვარგისი გამოდგა. მაშინ ისევ პოლიციაში წამიყვანეს და კვლავ მაწამეს, რათა მიეღოთ ახალი ვერსიის შესაბამისი სასურველი ჩვენება.

შემდგომ გადმომიყვანეს თბილისის ციხეში და, ადვოკატის თანდასწრებით, გამომძიებელ ქურხულიშვილს მივეცი ნამდვილი ჩვენება, ხოლო წამებით მიცემული პირველი ჩვენება უარვყავი და მას აღარ დავბრუნებივარ.

წამების ფაქტთან დაკავშირებით განცხადებებით მივმართე შევარდნაძეს, გენერალურ პროკურორს, მაგრამ ეს განცხადებები კვლავ ქურხულიშვილთან ხვდებოდა. ისინი ამჟამად საქმეში არ ჩანს.

თბილისში, არ ვიცი რა უფლებით, ციხეში შემოვიდნენ უშანგი მგელაძე და დათო არონია. ისინი დამპირდნენ, რომ თუ მათ სახელებს სადმე მოვიხსენიებდი, სასტიკად გამისწორდებოდნენ.

## რა ღირს ოპერაცია წამების შემდეგ?

**მე, მურთაზ გულუა, დავიბადე 1964 წელს გალის რაიონის სოფელ აჩიგვარაში. ვარ ტრაქტორისტი. ვიყავი ზუგდიდის კომენდატურის რიგითი წევრი. აფხაზეთის ომის დროს მომცეს AKC-ის ტიპის ავტომატი. მასზე ნებართვა გაცემული იყო ლოთი ქობალიას მიერ. ვმონაწილეობდი ოჩამჩირესთან ბრძოლებში.**

განსასჯელთაგან ზარანდიას ვიცნობდი, როგორც კომენდანტს, ხოლო შეროზიას უფრო უკეთ, რადგან ისიც რიგითი იყო ზუგდიდის კომენდატურაში. მალანიას, ბენდელიანს და ჯიჭონაიას არასდროს ვიცნობდი და კიროკის ჯგუფის შესახებ არაფერი მსმენია. კომენდატურის წევრი გავხდი 1993 წლის ზაფხულში. ჩვენს ფუნქციებში შედიოდა ქალაქში წესრიგის დაცვა. ხელფასი არ გვეძლეოდა.

სამთავრობო ჯარების შემოსვლის შემდეგ ზუგდიდის კომენდატურა დაიშალა და დავიწყე მუშაობა არასაუწყებო დაცვაში - თავი შევაფარე პოლიციას. დამაპატიმრეს 1995 წლის 21 სექტემბერს. ბრალად წამიყენეს 1994 წლის 16 მაისს წალენჯიხის პოლიციის თანამშრომელთა მკვლელობა. მაჩვენეს დაღუპულების სურათები - არც ერთს არ ვიცნობდი და ვუთხარი, ჩემი გაკეთებული არ არის-თქო. მაშინ, 29 სექტემბერს, დაიწყო ჩემი წამება. ფეხებით ჩამომკიდეს უშანგი მგელაძემ, ბორის კვარაცხელიამ, დათო არონიამ (სხვებს არ ვიცნობ) - დამიწყეს პარკეტით ცემა. საათ-ნახევრის შემდეგ ჩამომხსნეს - აღიარება დაწერეო. არ დავწერე და ისევ ჩამომკიდეს. მცემდნენ მთელი დღე. მერე საკანში ჩამიყვანეს. მეორე დილით ისევ ამიყვანეს, ჩამომაცვეს აირწინაღი და ისე მცემდნენ. როდესაც წყალი ვითხოვე, აირწინაღს უკნიდან თავი მოხაზეს და წყალი ჩამისხეს. მოითხოვდნენ ჩემს თავზე ამეღო 16 მაისის მკვლელობაში მონაწილეობა. სამი დღე გავუძელი.

მესამე დღეს თიაქარი გამისკდა და ვერ გადავიტანე. იძულებული ვიყავი, ხელი მომეწერა მათ დაწერილ ჩვენებაზე. მათ შედგენილ ტექსტებს ხელს ისე ვაწერდი, არც ვკითხულობდი. ადვოკატი დაკითხვებს არ ესწრებოდა არც ზუგდიდში და არც თბილისში.

თბილისში დამაპირისპირეს ზვიად შეროზიასთან. გამომძიებელ ქურხულიშვილს სიმართლეს ვეუბნებოდი, მაგრამ ის მაშინებდა - თუ ჩვენებას შეცვლი, სამმართველოში გადაგიყვან და კვლავ განმეორდება "პრესიო".

მე სასწრაფო ოპერაცია მჭირდებოდა და საავადმყოფოში გადაყვანას მოვითხოვდი, მაგრამ არ გადამიყვანეს. რამდენიმე თვის შემდეგ მომთხოვეს 350 დოლარი, მაგრამ ფული არ მქონდა და კვლავ არ გადამიყვანეს. 1996 წელს, როგორც იქნა, გამიკეთეს ცემის დროს გამსკდარი თიაქრის ოპერაცია.

## გამომძიებელი უყვება ბრალდებულს როგორ მოხდა მკვლელობა

**მე, ზვიად შეროზია, დავიბადე 1963 წელს. ვცხოვრობ ზუგდიდში, მამუკა ქარდავას სახელობის ქუჩაზე, რომელიც მხეცურად იქნა მოკლული სამეგრელოს ეგზეკუციის დროს - შემდეგ მკვლელებმა განაცხადეს - შეგვეშალაო. სპეციალობით ვარ ელექტრიკოსი. მყავს მეუღლე და ორი შვილი.**

განსაკუთრებით ივაჟკაცეს პოლკოვნიკმა მგელაძემ, კაპიტანმა დათო არონიამ, წალენჯიხის პოლიციის თანამშრომელმა ბორის კვარაცხელიამ - რომელმაც შემდეგ კახა კვარაცხელიას ცემით ამოხადა სული და ჩამოკიდა თავის ოთახში. ამისთვის იგი დააწინაურეს...

მთელი ღამე მცემდნენ. ერთადერთი, ვინც გამომექომაგა, ლეიტენანტი იყო, მგონი თბილისიდან (სახელი არ ვიცი) - ნახევარი საათი მაინც დავასვენოთო - და წყალი დამალევინა.

9 საათზე ჩამომხსნეს - ჩამოკიდებულს მირტყამდნენ. ფეხები ცივ წყალში ჩამაყოფინეს, რადგან საშინლად მქონდა დასივებული ცემისგან, ფეხსაცმელს ვერ ვიცვამდი.

წამების დროს განსაკუთრებით აქტიურობდა ბორის კვარაცხელია. ახლა მან ხელყუმბარა დაადრო, ორჯერ ჩამცხო თავში, მუცელში წიხლი ჩამაზილა, დამაღებინა პირი და ხელყუმბარა ნახევრამდე ჩამთხარა. დამემუქრა, დამცველს მოვხსნიო. მგელაძემ "ზრდილობიანად" შეაჩერა - არ ჩანს ურიგო ბიჭი და სადამომდე დრო მივცეთო.

წამიყვანეს კორიდორის ბოლოს დახაჭუშავებელ ოთახში, სადაც ჩემი ცემა დღის 4 საათამდე გაგრძელდა. შემდეგ საკანში ჩამიყვანეს. 6 საათზე ისევ ამიყვანეს საწამებელ ოთახში. ბორის კვარაცხელიამ შემომიტანა თაბახის ფურცელზე დაწერილი ახსნა-განმარტება და წასაკითხად მომცა. ვეცდები, მისი შინაარსი გადმოგცეთ: ერთი წალენჯიხელი, ვინმე მიქავა წერდა, თითქოს მასთან სახლში ვერტმფრენით ჩამოფრინდა ფიდელ კასტროს ძმა - რაულ კასტრო, რომელმაც ყვავილების თაიგული გადასცა, ჩამონტაჟებული ასაფეთქებელით. მისცა 5000 ამერიკული დოლარი და დაჰპირდა, რომ დანარჩენ 15 000 დოლარს შემდეგ გადასცემდა. გარკვეულ რიცხვში უნდა ჩამოსულიყო ინდირა განდი, რომლისთვისაც მიქავას ეს თაიგული უნდა გადაეცა. ბორის კვარაცხელიამ მკითხა აზრი წაკითხულის შესახებ. აბსურდია-თქო, ვუთხარი. ვიცით, მაგრამ მიქავა რომ ნახო, ყველაფერს მიხვდებიო. მე მაინც უარვყოფდი ბრალდებას, რასაც მოჰყვა ისეთი ძლიერი ფიზიკური ზემოქმედება, რომ დღესაც მიმძიმს აღწერა... რადგან რამდენჯერაც ვიხსენებ ...' (სიჩუმე)

ამან დილის 6 საათამდე გასტანა. ერთადერთ რამეს ვითხოვდი - აეხსნათ საქმის ვითარება, სად და როგორ მოხდა ამ ოთხი კაცის მკვლელობა, რადგან მეტის ატანა აღარ შემეძლო. ოთახში ბორის კვარაცხელიასთან მარტო დამტოვეს. იგი დამპირდა, რომ "შემახსენებდა" იმ ფაქტებს, რაც მოხდა. ერთი საათის განმავლობაში დაწვრილებით მიყვებოდა, რამდენი პიროვნება, რა სისტემის იარაღით, რა ვითარებაში დაესხა თავს ავტომანქანას, რომელშიც ის 4 კაცი მოკლეს. ისე დეტალურად ყვებოდა, რომ უნებლიეთ ვკითხე - ასე კარგად თუ იცით როგორ მოხდა, იქნებ ნამდვილი მკვლელებიც იცოდეთ-თქო. რაც ამ კითხვას მოჰყვა, აღარ მახსოვს... გონება დავკარგე. გამომაფხიზლეს. მერე მარტო კვარაცხელია მცემდა. ტექსტიც მან დამაწერინა. სამ-ოთხჯერ გადამაწერინა, მაგრამ გადათეთრება ვერ მოვასწარი, ზუგდიდში წამიყვანეს.

ზუგდიდის ციხეში, კორიდორში, სადაც ცოტა ხნით მარტო დამტოვეს, შემოვარდა ვინმე ავალიანი (მისი გვარი შემდეგ გავიგე), ციხის რეჟიმის უფროსი. არაფერი უკითხავს, სისხლიანი რომ მნახა, ცხადია, მიხვდა პატიმარი რომ ვიყავი - ფეხქვეშ გამიგდო და წიხლით შემდგა.

*გვერდი მოამზადა*
*ს. გურამიშვილმა*

## 1989 წლის 9 აპრილი. - პერესტროიკის ერთი ასპექტი

"ეს შემზარავი გეგმა, საბედნიეროდ, ვერ განხორციელდა. მთავრობის სახლსა და დემონსტრანტებს შორის მილიციამ შექმნა კორიდორი, რომლის მეშვეობითაც მრავალმა დაუცველმა ადამიანმა გააღწია სამშვიდობოს. პირველი შემოტევის შემდეგ ხალხი პანიკამ მოიცვა. ყველამ უკან, მთავრობის სახლის კიბეებისკენ დაიხია. მე ხალხის შუაგულში აღმოვჩნდი. ვიღაცამ სასოწარკვეთით იყვირა: მოშიმშილეებო დასხედით! მაგრამ ამის გაკეთება უაზრობა იქნებოდა, რადგან ჯარისკაცები დასუსტებულ მოშიმშილეებს ადვილად გაუსწორდებოდნენ. პირიქით, მძიმე ფიზიკური მდგომარეობის მიუხედავად, ისინი სწრაფად უნდა ამდგარიყვნენ, რომ ჯარისკაცებს ხელში არ ჩავარდნოდნენ. ასეც გავაკეთეთ, შევქმენით კორიდორი და მოშიმშილეები იქიდან გავიყვანეთ. ამ სახით ბევრი სხვაც გადავარჩინეთ, სანამ სპეცრაზმებმა ისე არ შეგვავიწროვეს, რომ განძრევაც აღარ შეგვეძლო. ნიღბიანმა ჯარისკაცებმა ქიმიური ნივთიერება შეგვასხურეს."

გამსახურდია ამტკიცებდა, რომ ამ გაზს საზიზღარი სუნი ჰქონდა... "თავი ცუდად ვიგრძენი, თანდათან სულ უფრო ცუდად ვხდებოდი და ბოლოს გონება დავკარგე. გონს რომ მოვედი, საკონცერტო დარბაზთან ვიყავი. ახალგაზრდებს გადავურჩენივარ. საკონცერტო დარბაზში პატარა საინფორმაციო მიტინგი მოვაწყვეთ და უნივერსიტეტისკენ გავეშურეთ, სადაც მოსახლეობა სამოქალაქო დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებდა. დროდადრო მოდიოდა ცნობები მსხვერპლის რაოდენობის შესახებ. გათენებისას ქუჩები დავიარეთ, რომ ინფორმაცია შეგვეგროვებინა. 7-8 საათისთვის სახლში წავედი.

9 საათზე უშიშროების კომიტეტის მუშაკები შემოიჭრნენ ჩემს ეზოში და ბაღში; ჩემი მშობლებისა და დის საფლავებიდან მოგლიჯეს ჯვრები და კარის შემომტვრევა დააპირეს. კარი გავუღე და სრულიად წყნარად შევხვდი. მანიშნეს, გავყოლოდი. მანქანაში ჩამსვეს, უშვერი სიტყვებით მლანძღავდნენ და სახეში მაფურთხებდნენ. საბოლოოდ თავის მოკვლა შემომთავაზეს. შევედით ციხის ეზოში, სადაც რამდენიმე წითელარმიელი მელოდა. აქ არის გამსახურდია, მთავარი დამნაშავე! - დაიძახეს ჩემმა მხლებლებმა. - სცემეთ, ესროლეთ!

ხელკეტებითა და ფარებით აღჭურვილი ჯარისკაცები ჯერ გაუნძრევლად იდგნენ, შემდეგ დამიწყეს წიხლებით ცემა და მანამდე მცემდნენ, სანამ ციხის მომსახურეებმა არ წამიყვანეს და სიკვდილმისჯილთა საკანში არ ჩამაგდეს.

ჩემს გარდა, მერაბ კოსტავა და გიორგი ჭანტურიაც დაიჭირეს, ცოტა მოგვიანებით კი ირაკლი წერეთელი.

19 მაისს ყველა გამოგვიშვეს ციხიდან, მაგრამ ჩვენს წინააღმდეგ აღძრული იყო საქმე.

1990 წლის 25 თებერვალს ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი ოფიციალური ვიზიტით მოსკოვში იმყოფებოდა. მან ჩეხოსლოვაკიის საელჩოში მეგობრულ შეხვედრაზე მიმიწვია. როცა შეიტყო, რომ საშინაო პატიმრობაში ვიყავი და ჩემს წინააღმდეგ საქმე იყო აღძრული, თავისი პროტესტი განუცხადა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს. ჩვენ მაშინათვე მოგვიხსნეს ბრალდება და 26 თებერვალს გაგვათავისუფლეს."

1989 წლის 9 აპრილს დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოიყენეს ხელკეტები, საბრძოლო ნიჩბები, ცრემლსადენი და მომწამვლავი გაზი, რომლის მოქმედება ნერვულ სისტემაზე საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდა. საბედნიეროდ, მრავალმა უცხოელმა გამოგვიწოდა დახმარების ხელი. ჩამოვიდნენ გერმანელი ექიმებიც, რომლებმაც შემდგომში ორი ანტროფოსოფი კოლეგა მოავლინეს თბილისში. სწორედ მათ უმკურნალეს ზვიად გამსახურდიას და 26 მაისიდან ნელ-ნელა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა. ზოგიერთი მძიმე პაციენტი გაიგზავნა ჰერდეკეს საავადმყოფოში, სადაც მათი გამოჯანმრთელებისთვის იზრუნეს.

განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება იყო მკურნალობის ანტროფოსოფიულ საშუალებებზე, იმდენად, რომ ამ ექიმებს თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში გამოუყვეს სამუშაო ადგილი. საქმე ის გახლდათ, რომ სხვა სამკურნალო მეთოდები ამ სიტუაციაში ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა.

მოწამლულთა მიმართ პრაქტიკული თანადგომა გამოხატა დედა ტერეზამ, რომელიც 1989 წლის ივნისში ჩამოვიდა საქართველოში. მან ერთი ინდოელი და ორი ევროპელი მონაზონი დატოვა თბილისში ავადმყოფთა მოსავლელად. რა თქმა უნდა, პაციენტებს პირველ რიგში ოჯახის წევრები უვლიდნენ, მაგრამ არც მონაზონთა მზრუნველობა იყო ზედმეტი. ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, 300 თანამოაზრესთან ერთად, დახვდნენ დედა ტერეზას ნიშნად მისდამი ღრმა პატივისცემისა. დედა ტერეზას მოკლე გამოსვლას ინგლისურიდან ქართულად გამსახურდია თარგმნიდა.

რაც შეეხება გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობას, თავად ასე აღწერდა: "პატიმრობის პერიოდში გამოვლინდა გაზით მოწამვლის სიმპტომები: ხორხის წვა, ხელ-ფეხის შეშუპება, ცვალებადი წნევა და აჩქარებული პულსი. განცვიფრებული დავრჩი წითელი ჯვრის ექიმთა დამოკიდებულებით. მათ ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა საერთოდ არ აინტერესებდათ. სსრკ-ს შეიარაღებული ძალების მიერ მომწამლავი გაზის გამოყენება ჩემთვის სიახლეს არ წარმოადგენდა. 70-იან წლებში უშიშროების კომიტეტი ამ მეთოდით ებრძოდა იმ ცალკეულ დისიდენტებს, რომელთაც გარკვეული მოსაზრებით არ აპატიმრებდნენ. მომწამვლელი გაზი გამოიყენეს მოსკოველი მწერლის ვოინოვიჩის, ლენინგრადელი მხატვრის ჟარკიხის და ზოგიერთი ებრაელი აქტივისტის მიმართ. 1975 წლის 23 სექტემბერს ტოქსიკური გაზი ჩემი ოჯახის მიმართაც იხმარეს, რის შედეგადაც კატა და ძაღლი დაიხოცნენ, ხოლო მე და ჩემი მეუღლე მოვიწამლეთ. სიმპტომები 9 აპრილის მოწამვლის იდენტური იყო.

სისხლის ანალიზებმა ინტოქსიკაცია სრულად ვერ დაადასტურა. თუმცა სამხედრო ხელმძღვანელობამ დიდი ყოყმანის შემდეგ გაამხილა, რომ გამოიყენეს დამაძინებელი გაზები: სი-ესი და სი-ენი. მაგრამ მაინც გაურკვეველი დარჩა, ასეთი ძლიერი ტრავმირება მართლა ამ გაზების გადამეტებულმა დოზამ განაპირობა, თუ რაიმე სხვა მომწამვლელი გაზიც (ქლორპიკრინის მსგავსი) იხმარეს." გამსახურდიას მტკიცება დადასტურდა მრავალი ავადმყოფობის ისტორიით და სასამართლო მედიცინის ექსპერტიზით. 9 აპრილს მოწამლულთა შესახებ გამოკვლევის შედეგად დადგენილი სხვადასხვა დასკვნები არსებობდა. ერთ-ერთი მათგანი ზაარლანდის უნივერსიტეტის კლინიკამაც წარმოადგინა. ყველა ექსპერტიზის მონაცემები ერთმანეთს ემთხვეოდა. თბილისის პათოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა შეცვალა თავისი დასკვნები, რადგან საფრთხე ემუქრებოდა. მისი მონაცემებით, 12 ადამიანი უშუალოდ გაზის ძლიერი მოწამვლით გარდაიცვალა. უშიშროების კომიტეტმა ხელი შეუშალა გაეროს ექსპერტების მონაწილეობას ამ გამოკვლევებში. მან მოავლინა თავისი ხალხი - როგორც გაეროს ექსპერტები, რომელთაც არც ნიჩბებით მიღებული ჭრილობები და არც გაზით მოწამლულები უნახავთ.

ამავე დღეებში მოსკოვიდან ჩამოვიდნენ პოლიტბიუროს წევრები: ედუარდ შევარდნაძე და გიორგი რაზუმოვსკი. მათი თბილისში ყოფნის პერიოდში გამოცხადდა ბლოკადა. ყველა მნიშვნელოვან პუნქტს სამხედროები იცავდნენ. როგორც ჩამოსულებმა განაცხადეს, აინტერესებდათ, რა მოხდა თბილისში. გამართეს შეხვედრები უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, სტუდენტებთან და მწერლებთან. ამის შემდეგ პოლიტბიუროს წევრებმა საქართველოს კომპარტიის "დამნაშავე" მდივანი გადააყენეს და უკან გაფრინდნენ. პატიაშვილმა პროტესტი გამოთქვა, რადგან, მისი თქმით, უდანაშაულო იყო. ის იმუქრებოდა, რომ დაასახელებდა, სინამდვილეში ვისი უშუალო ბრძანებით განხორციელდა ყველაფერი. თუმცა, არ შეუსრულებია თავისი მუქარა. მის ადგილზე დაინიშნა ახალგაზრდა ლიბერალი გუმბარიძე, რომელსაც ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით.

9 აპრილის შესახებ ინფორმაცია მთელ საბჭოთა კავშირში გავრცელდა და საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები, მეცნიერები და ლიბერალი პოლიტიკოსები სამხედრო ორგანოებს ადანაშაულებდნენ. საბჭოთა კავშირის პარლამენტში შეიქმნა საგამოძიებო კომისია, რომლის მთავარ ამოცანას კონკრეტული დასკვნების გამოტანა წარმოადგენდა. ამ საკითხზე პასუხისმგებელი იყო კომისიის თავმჯდომარე, დღესდღეობით სანკტ პეტერბურგის მერი, ანატოლი სობჩაკი.

სასჯელის განსაკუთრებული ფორმა გამოიყენეს კავკასიის ჯარების კომენდანტის მიმართ: გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან და მოსკოვის სამხედრო აკადემიის რექტორად დანიშნეს.

კრემლმა შეაჩერა ამერიკელებთან მოლაპარაკებები აღმოსავლეთ ევროპიდან ჯარების გამოყვანის და ბერლინის კედლის გახსნის თაობაზე. ეს იყო ერთგვარი დამცველი მექანიზმი 9 აპრილის მოვლენების მიჩქმალვისთვის. გორბაჩოვი აცხადებდა, რომ ჯარების გამოყვანა დიდ პრობლემებს უქმნიდა და თან არმიის ხელმძღვანელობისგან ზეწოლას განიცდიდა. ასე რომ, თბილისის ინციდენტის მიუხედავად, დასავლეთთან მოლაპარაკება კვლავ წარმატებით გაგრძელდა. ამის შემდეგ "ომონის" რაზმებმა ბაქოში და ვილნიუსში მსგავსი დანაშაულებრივი ქმედება გაიმეორეს იგივე ხელწერით. ეს ნათელს ხდიდა, რომ ბნელი ძალები კვლავ მოქმედებდნენ.

*გერმანულიდან თარგმნა თამარ იაშვილმა*

(გაგრძელება იქნება)

---

TAVISUPALI SAKARTVELO
(FREE GEORGIA)
**No14 (in brief)**
**23 - 29 April, 1996**

## Stalin's Practice of Prisoners Torturing in Present-Day Georgia

The head of the Tsalendjikha Region Police Mr. G. Kalandia, his two subordinates and citizen R. Kharchilava were shot down in the car on May 16, 1994 in Zugdidi. This crime alongside with the other charges is incriminated to Mr. Badri Zarandia, Mr. Zviad Sherozia, Mr. gurgen Malania, Mr. Gabriel Bendeliani, Mr. Murtaz Gulua and Mr. Karlo Jinjolia. Some of the accused claim that they even were not acquainted until their arrest, and nevertheless they all Confessed in committing group crime. At last the moment they were looking forward to came: on April 11-18 the defendants according to their statement gave true testimonies to the Court.

### Badri Zarandia:

During my arrest I was wounded in leg. Thanks to the interference of the force structures my left leg was completely amputated. In the course of operation accidentally or intentionally the surgical needle was left in the wound, due to which fact I was subjected to two more surgical interventions. When I was recovering from the narcosis I was severely beaten by the butt-stocks of the firearms, which resulted in wounds on the back of the head and jaw.

Five times I had severe hemorrhage. every time I was loosing 500-600 g of blood; I have lost total of 1.5 l of blood. eventually the surgeons found the needle left in my wound and removed it, but the whole operation was made without anesthesia since the doctors feared that repeated narcosis was dangerous for my health.

I was discharged from the Prison hospital and moved to the isolation detention cell without the conclusion of my doctor Murjikneli. On the third day I declared hunger-strike demanding to be moved to the single cell, after 15 days of hunger-strike I declared the dry hunger-strike.

While I was arrested all my relatives were arrested too: the aunt of my mother 69 years old, my uncles; on the day when they amputated my leg were arrested my sisters Marine and Keti, my brother-in-law was physically abused, while my father was fired at from the gun to be scared... When the voice colonel Sviradze visited me in the hospital, he explained me that if I did not confess in any murder, he would explode me together with my sister whom they used to keep in one cell with me.

### Murtaz Gulua:

I was arrested on September 21, 1995. On September 29 my tortures began. Mr. Ushangi Mgeladze, Boris Kvaratskhelia Dato Aronia, the names of the others are not known to me, hand me by legs and began to beet me with sticks. Then they released me and demanded from to write a confession. I refused, and as a result was again hung by feet. They were beating me all day long. On the next morning they put a face mask on me and began to beat me again. When I asked them to give me some water they unfastened my face mask from behind and poured there some water. I endured for three days, on the third day I had the attack of hernia and could not endure tortures any more. So I was impelled to sign the testimonies which they had already written in advance. I required an urgent surgical intervention and demanded hospitalization, but for several months no attention was paid to my demands. Then they demanded from me $350 but since I did not have money, I was left unattended in my cell. The operation of hernia damaged as a result of beating was done only in 1996.

### Gabriel Bendeliani:

I was tortured by Dato Aronia personally who using the pliers tore out my nails. He was assisted by Boris Kvaratskhelia. I fainted from pain. when I recovered I took my nails and hid them in my pocket. In Zugdidi prison I was regularly beaten by the officers on duty. Why they were beating me I do not know - I have already given the testimony. I could not endure the tortures and made an attempt to hang myself on the stripe of sheet, but the officer on duty saw me and took me to the head of the prison to whom I have told everything. I have sent the statement about tortures I was subjected to Mr. Babilashvili. However I never received any answer. I sent the letter to the Parliament and I was visited by Mr. Sandro Kavsadze. He had recorded the traces of my tortures by video camera and asked me to write a true testimony and hand it to him, but he never came back to take my written testimony.

### Zviad Sherozia:

All night long they were beating me. At dawn they put me down - I was hung by feet when they were beating me. They made me put my feet into the cold water since they were terribly swollen as a result of beating, I was not able to put my shoes on. Boris Kvaratskhelia was particularly active in the course of my torturing. He took out a grenade from his pocket and hit my head with it two times, then he kicked me in abdomen, made me open the moth and forced the grenade into it promising to remove the safety catch. I was removed to Zugdidi prison. In the corridor where I was left for some time alone, appeared a certain Avaliani (this name I have learned later). He was the head of the prison regime. He did not ask anything since seeing me all covered with blood he guessed I was a prisoner. So without hesitation he threw me on the floor and began to kick me with feet. They made me to rewrite a false testimony and sign it. What else could I do. I even have not read my testimonies.

### Gurgen Malania:

On September 9, 1994 the Zugdidi police together with Russian troops arrested me in the village of Odishi. I had not resisted the arrest. Irrespective of this immediately after they pushed me into the car they began to beat me. In Zugdidi police I was taken to the second floor where they began to beat me with the butt-stocks of the firearms, truncheons, legs of the chair and some leather stripes. They were strangling me with little intervals of 1 minute. Then I was taken downstairs to the torture room where they continued to torture me: they put a face mask on me, hung me by feet and started to beat e again. This lasted quite a time, or at least the strong pain I was experiencing made me feel so. They arranged the so-called wriggling - I was tied to a long stick, fixed between the table and a chair- and they beat me on the total length of my body, especially on feet. They also inserted the needles under my nails - the pain was unbearable. All his lasted from 2 p.m. till dawn. Somehow I managed to endure and not to faint. In the morning the investigator received the desired testimony which he had written himself. I have signed the document without even reading it. Then I was moved to the prison, but when the investigator from Tbilisi Mr. Rezo Zarandia began his investigation, the witnesses named in the testimony were interrogated and the version which dictated Zugdidi investigator Gogenia proved to be invaluable. So I was again taken to the police station and subjected to new tortures to receive the desired testimonies which would be in tune with the new version.

Then I was moved to Tbilisi prison and in the presence of my lawyer I gave a true testimony to the investigator Kurkhulishvili. In relation to the fact of torturing I made an appeal to Shevardnadze, Prosecutor General, but all my appeals were returned to Kurkhulishvili. For some obvious reasons they are not included into the materials of my Case.

In Tbilisi prison I was visited by Ushangi Mgeladze and Dato Aronia. They promised me to settle scores with me if I dared to mention their names.

გაზეთის სარეგისტრაციო მოწმობის ნომერია 0441
იბეჭდება ს/ს კეგელში

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, სააბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia